



საქართველოს რკინიგზამ წარმატებით განათავსა \$500 მილიონის 7 წლიანი მწვანე ობლიგაციები 4.0%-ში

საქართველო | ობლიგაციები
18 ივნისი, 2021

2021 წლის 17 ივნისს საქართველოს რკინიგზამ წარმატებით განათავსა 500 მილიონი აშშ დოლარის 7-წლიანი ევროობლიგაცია, რომლის კუპონის განაკვეთმა 4.00% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ევროობლიგაციის მიმართ ინვესტორების ინტერესი უპრეცედენტოდ მაღალი იყო და მოთხოვნამ \$4.2 მლრდ-ს გადააჭარბა, რაც 8.4-ჯერ აღემატება შეთავაზებულ მოცულობას. სავაჭრო დღის შემდეგ ევროობლიგაციის შემოსავლიანობამ 4.0% შეადგინა, რაც საქართველოს მთავრობის ობლიგაციასთან შედარებით დაახლ. 100სპ-ის სპრედს (სხვაობას) წარმოადგენს,

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რკინიგზის ახალი ობლიგაციებს 'მწვანე' ობლიგაციის სტატუსი აქვს, რასაც SP Ratings-ი ადასტურებს. საქართველოს რკინიგზა ახალი ობლიგაციისგან მოზიდულ სახსრებს არსებული \$500 მლნ-ის 7.75%-იანი ობლიგაციის წინსწრებით რეფინანსირებისთვის გამოიყენებს (გამოსყიდვის ფასმა 107.5% შეადგინა, რაც მოიცავს 2.25% ადრეული გამოსყიდვის პრემიას).

ტრანზაქცია საქართველოს რკინიგზისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია, კერძოდ:

- საქართველოს რკინიგზის ისტორიაში ყველაზე იაფად მოზიდული თანხებია საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებიდან;
- ახალ ევროობლიგაციაზე გადასახდელი პროცენტი თითქმის განახევრებულია 2012 წელს გამოშვებულ ევროობლიგაციასთან შედარებით (7.75% vs. 4.00%), შესაბამისად ვალი უფრო შეღავათიანია;
- ქართულ კორპორატიულ საერთაშორისო ობლიგაციებს შორის ყველაზე დაბალი განაკვეთი;
- ტრანზაქციაში ასევე მონაწილეობდნენ 2 საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი (anchor investors);
- მაღალი მოთხოვნის გამო book building-ის დროს საპროცენტო განაკვეთი თითქმის 100სპ-ით შემცირდა 4.875%-5.000%-დან 4.000%-მდე;
- საქართველოს რკინიგზის ახალი ევროობლიგაციის სპრედი მთავრობის ევროობლიგაციასთან შედარებით 100სპ შეადგინა, რაც მნიშვნელოვან წარმატებაზე მიუთითებს. ცნობისათვის, საქართველოს რკინიგზის სპრედი მთავრობის ობლიგაციასთან შედარებით 2019 წელს საშუალოდ 130სპ იყო, ხოლო 2020 წელს ამ მაჩვენებელმა 220სპ შეადგინა.


საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაციის გამოშვების პროცესში მონაწილეობდნენ საერთაშორისო საინვესტიციო ბანკები: JP Morgan, Citi და Renaissance Capital; პროცესში ასევე ჩართული იყო 2 ადგილობრივი საინვესტიციო ბანკი - Galt & Taggart და TBC Capital.

ტრანზაქციის დეტალები

გამომშვები:	საქართველოს რკინიგზა
საკრედიტო რეიტინგი:	BB- (Fitch) /B+ S&P
სტატუსი	Senior unsecured
ფორმატი	RegS/144A
მოცულობა	\$500 მლნ
გამომშვების თარიღი	17 ივნისი 2021
დაფარვის თარიღი	17 ივნისი 2028
კუპონი	4.00%
შემოსავლიანობა	4.00%
გამომშვების ფასი	100%
მოზიდული სახსრების გამოყენება	არსებული ობლიგაციის რეფინანსირება
განთავსება/სასამართლო	ლონდონის საფონდო ბირჟა/ ინგლისური

წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარტი

საქართველოს რკინიგზა vs. საქართველოს მთავრობა, სპრედი სპ



წყარო: Bloomberg

საქართველოს რკინიგზის საკრედიტო რეიტინგები



ევა ბოჭორიშვილი - კვლევების უფროსი
| evabochoorishvili@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 8036

ანა ნაჭყებია - უფროსი ანალიტიკოსი
| ananachkebia@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 8137



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მფლობელობა Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული ოპერაციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე ოპერაციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი ოპერაციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომელიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიხედვით. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ საკითხზე არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდეგ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,

საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: gt@gg.ge